

განზოგადოებული ფორმები სიების დამუშავების ფუნქციებისთვის ენა Haskell-ში

ნათელა არჩვაძე

natela.archvadze@tsu.ge

კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. 2

პროგრამირების ენა Haskell წარმოადგენს ფუნქციონალურ ენას და მას ახასიათებს ყველა ის თვისება, რასაც ფუნქციონალური პარადიგმა განსაზღვრავს.

პროგრამირების ფუნქციონალურ პარადიგმაში მონაცემთა სტრუქტურის ასაგებად გამოყენებული მეთოდიკები საშუალებას იძლევა პარალელურად შეიქმნას განზოგადოებული ფორმები – ტიპური ფუნქციის შაბლონები ამ სტრუქტურების დასამუშავებლად. ენა Haskell-ის სტანდარტულ მოდულში განსაზღვრულია ფუნქციის შაბლონები სიების დასამუშავებლად.

ჩვენი მიზანია, ვერიფიკაციის ის ალგორითმი, რომელიც გამოყენებული გვაქვს Lisp ფუნქციონალური პროგრამებისთვის, ასევე გამოყენებული იყოს ენა Haskell-ის განზოგადოებული ფორმებისთვის.

მოხსენებაში ვისაუბრებთ სტრუქტურული ინდუქციის მეთოდზე, რომლის საშუალებითაც მოხდენილია Haskell-ის იმ ფუნქციების ვერიფიკაცია, რომლებიც იქნება წარმოდგენილი განზოგადოებული ფორმების საშუალებით.

(